

საქართველოს კანონი
„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №49, ნაწილი I, 30.12.2009) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის 27-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. 72-ე მუხლის 1¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) აუქციონის შესახებ აცნობებს გარდამავალი უფლებებისა და აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნების მფლობელ პირებს, მათ შორის, შესაბამის საგადასახადო ორგანოს სარეალიზაციო ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების არსებობისას;“;

2. პირველი მუხლის 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28. 75-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აუქციონზე შექმნილ ქონებაზე უფლებამოსილ პირს გადაეცემა აღმასრულებლის შესაბამისი განკარგულება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შექმნილი ქონება, აუქციონზე ქონების შემქმნი, შემოთავაზებული ფასი და აუქციონის პირობები. ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულებისას განკარგულების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგადასახადო ორგანოს.“;

3. პირველი მუხლის 30-ე პუნქტი ამოღებულ იქნას:

4. პირველი მუხლის 32-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

5. პირველი მუხლის 33-ე პუნქტი ამოღებულ იქნას

6. მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი, მე-8, მე-15, 23-ე და 24-ე პუნქტებისა, 25-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, 26-ე, 27-ე, 28-ე და 32-ე პუნქტებისა, ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.“.

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, ამ კანონის პირველი მუხლის მე-15, 23-ე და 24-ე პუნქტები, 25-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 26-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 27-ე, 28-ე და 32-ე პუნქტები ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი